



მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადებასთან დაკავშირებით გამართული საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების განხილვების ცხრილი

N	ადმინისტრაციული ორგანო/კერძო პირი და, საჭიროების შემთხვევაში, კომენტარების შემცველი დოკუმენტის თარიღი და ნომერი	კომენტარები	კომისიის პასუხი კომენტარებზე
1	შპს "სელფი მობაილ" №შ-23-6/1797, 25.05.2023	<p><b>პირობა N1</b> - <u>არსებული ქსელის ოპერატორი იქნება თუ ბაზარზე ახალი შემომსვლელი, უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ მომსახურებებზე საბითუმო დაშვება მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებისთვის (Full MVNO, Light MVNO, Branded Reseller Hybrid MVNO და სხვა, ასევე დაშვების ვალდებულება ვრცელდება MVNE-ების და MVNA-სთვისაც).</u></p> <p>ხაზი უნდა გავუსვათ Light MVNO, Branded Reseller-ის უპირობო დაშვების ვალდებულებას, რომლის შემთხვევაშიც მობილური ქსელის ოპერატორი (MNO) ვალდებულია, სხვა მომსახურებებთან ერთად, MVNO-ს შესთავაზოს ბილინგის მომსახურებაც.</p> <p>ვინაიდან, ჩვენი ბილინგი არ წარმოადგენს ჩვენს საკუთრებას და მას ვიღებთ კომპანია Ericsson-ისგან როგორც მომსახურებას, იგი მორგებულია MNO-სათვის საჭირო სერვისებზე შესაბამისად, მას არ გააჩნია MVNO ბილინგის მხარდაჭერა. ნებისმიერი ცვლილება ბილინგში მათ შორის ახალი სერვისებისა (VOLTE, 5G და სხვა) და პაკეტების დამატება, Ericsson-სგან განიხილება, როგორც ბილინგში ცვლილება და ჩვენი კომპანიისათვის წარმოადგენს დამატებით ხარჯს კერძოდ, ბილინგში MVNO-ს დამატების საორიენტაციო ფასია 1, 000 000 აშშ დოლარი, ახალი სერვისების დამატების ღირებულება 500 000 – 1, 000 000 აშშ დოლარის ფარგლებში, ხოლო ახალი</p>	<p>გამომდინარე MVNO ბიზნეს-მოდელის ბუნებისა, "Light MVNO/Branded reseller" წარმოადგენს მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებისთვის საქმიანობის დაწყების ყველაზე მარტივ გზას, რამეთუ ინვესტირების საჭიროება აღნიშნული მოდელისთვის მინიმალურია. თუმცა, ასევე დაბალია კონტროლი, მარჟები და ბიზნეს-გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაც, რაც კომპანიას საშუალებას მისცემდა მარტივად შეექმნა სასურველი ბრენდი. შესაბამისად, ოპერირების დაწყების შემდეგ, კომპანიებს შეუძლიათ ნელ-ნელა გააყვანონ წარმოების ჯაჭვს, უფრო და უფრო მეტი ელემენტი თავად აითვისონ, მოახდინონ თავიანთი რესურსების ინვესტირება და მიიღონ მეტი თავისუფლება ნიშის ამორჩევისა და სატელეკომუნიკაციო ბიზნესში საკუთარი სიტყვის თქმის კუთხით. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ქსელზე დაშვება შესაძლებელი იყოს სწორედამ ყველაზე დაბალი საფეხურიდან, რათა მსურველ კომპანიებს შეეძლოთ ჩაერთონ ბიზნესში მინიმალური ინვესტიციებითაც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში - კომისია) ვერ გაიზიარებს შპს "სელფი მობაილის" პოზიციას Light MVNO-სა და Branded Reseller-ის დაშვების ვალდებულების ამოღების შესახებ, თუმცა კომისიას შესაძლებლად მიაჩნია, რომ დაშვებასთან დაკავშირებული ხარჯების თაობაზე მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ თვითონ კომერციულ საწყისებზე აწარმოონ მოლაპარაკება და ორმხრივად მისაღებ პირობაზე შეთანხმდნენ. აქედან გამომდინარე, კომისიამ ნაწილობრივ გაითვალისწინა შპს „სელფი მობაილის“ პოზიცია და MVNO დაშვების ნაწილში პროექტი დაკორექტირდა შემდეგი სახით: „კომისიას მიაჩნია, რომ 700; 1,800; 3,400-3,700, 2,600 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში რადიოსიხშირული სპექტრის აუქციონის ყველა იმ ლოტის გამარჯვებულს, რომელიც ითვალისწინებს MVNO დაშვების</p>

სატარიფო გეგმებისა და პაკეტების დამატება კი 5000 - 150 000 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ვალდებულების ფორმულირება უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ყველა ისეთი დამატებითი ხარჯის ანაზღაურება, რომელიც MVNO-სთან არის დაკავშირებული უნდა აანაზღაუროს თავად MVNO-მ და არა ქსელის ოპერატორმა კომპანიამ, ან ლიცენზიის პირობიდან ამოღებული უნდა იქნას Light MVNO, Branded Reseller- ის დაშვების ვალდებულება.

ვალდებულებას, მიუხედავად იმისა, არსებული ქსელის ოპერატორი იქნება, თუ ბაზარზე ახალი შემომსვლელი, უნდა დაეკისროს ვალდებულება უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ მომსახურებებზე საბითუმო დაშვება მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებისთვის. ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება აწარმოოს მოლაპარაკებები შესაბამის ქსელზე დაშვების ყველა მსურველ MVNO ოპერატორთან, სამართლიანი და არადისკრიმინაციული პირობებით (მიუხედავად იმისა, MVNO იქნება ახალი შემომსვლელი, თუ ბაზარზე უკვე არსებული მოთამაშე);

შესაბამის ქსელზე საბითუმო დაშვების შეთანხმების ფარგლები და პირობები არ უნდა იწვევდეს დისკრიმინაციულ შედეგებს მობილური ვირტუალური მომსახურების მიმწოდებლისთვის: აღნიშნული დაშვება გულისხმობს, რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორს ეძლეოდეს შესაძლებლობა საკუთარ მომხმარებლებს მიაწოდოს ლიცენზიის მფლობელის სერვისის ანალოგიური მომსახურება როგორც მიწოდების ხარისხით, მოცულობითა და სიჩქარით, ისე გეოგრაფიული დაფარვის არეალით;

ლიცენზიის მფლობელმა, ამ ლიცენზიის ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს დაშვების მსურველთან მოლაპარაკების შეუფერხებლად წარმართვა და არ შეუქმნას დაშვების მსურველს ადმინისტრაციული, სამართლებრივი, ტექნიკური ბარიერები, რაც იმას ნიშნავს, რომ არ უნდა წამოაყენოს ისეთი პირობები, რომელთა შესრულებაც აუცილებელი არ არის შეთანხმების დადებისათვის და სატელეკომუნიკაციო სერვისის მიწოდებისთვის;

ლიცენზიის მფლობელმა უნდა გამოაქვეყნოს მოწვევის ოფერტა (რომელიც უნდა შეიცავდეს დაშვების პირობებს, გარდა ფასისა) მის ხელთ არსებულ, აუქციონზე შემენილ სიხშირის სპექტრში საქმიანობის დაწყებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა.

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორთან დაშვების შესახებ ხელშეკრულება გააფორმოს მსურველი პირის მომართვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან), ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამის შესახებ აცნობოს კომისიას. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება ექნებათ მომართონ კომისიას, რომელიც დავას განიხილავს მხარეთა მორიგების სულისკვეთებით.

ამასთან, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების საბითუმო დაშვების ვალდებულება გავრცელდეს 2030 წლის 1 იანვრამდე.“

--	--	--	--

**პირობა N2** - 700,3400-3700,2600მჰც სიხშირულ დიაპაზონებში ლიცენზიის მფლობელმა გამოქვეყნებულ შეთავაზების წინადადებაში (ე.წ. მოწვევის ოფერტაში) უნდა ასახოს შესაბამისი პლატფორმები და საოპერაციო სისტემები, რომელთა დახმარებითაც მოხდება MVNO-სთვის მომსახურების გაწევა, როუმინგ სერვისებისა და დამატებითი მომსახურებების (VAS) მიწოდება, SIM ბარათის მენეჯმენტი, აბონენტების ბილინგი (Pre-Paid და Post-Paid), მათ შორის თვითმომსახურების საშუალებები (self-caring tools) და კომუნიკაციის სახეები (API).

ზემოაღნიშნულ მოთხოვნაში გაუგებარია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ჩვენი მხრიდან აღნიშნული მომსახურებები. კერძოდ, SIM ბარათის მენეჯმენტში ვვარაუდობთ, რომ იგულისხმება ჩვენს ბრენდირებულ ოფისებში MVNO SIM-ის გაყიდვა. მიგვაჩნია, რომ ეს არის სამართლებრივად შეუსრულებადი ვალდებულება, თუნდაც იმიტომ, რომ MVNO-ს სააბონენტო ხელშეკრულებას ჩვენი კომპანიის წარმომადგენელი/თანამშრომელი ვერ მოაწერს ხელს, ვინაიდან ის არ იქნება MVNO-ს წარმომადგენელი/თანამშრომელი.

ამასთან, გაურკვეველია თუ ვინ უნდა უზრუნველყოს სააბონენტო ხელშეკრულებების შენახვის ვალდებულება. აგრეთვე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სიმბარათების გაყიდვების სისტემა Ericsson-ის ბილინგის ნაწილია და მასში ცვლილებების შეტანა დამატებით 500 000-დან 1 000 000 აშშ დოლარამდე ხარჯთან არის დაკავშირებული. შესაძლებელია, ასევე, დადგეს ჩვენი ბრენდირებული ოფისის MVNO-ს ბრენდის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი, რაც, აგრეთვე, მიუღებლად მიგვაჩნია. გარდა ამისა, რიგი პრობლემები ჩნდება (self-caring tools) და კომუნიკაციის სახეები (API)-ს სერვისებთან დაკავშირებითაც. კერძოდ, ქოლცენტრის მომსახურების შემთხვევაში, ჩნდება საჭიროება შეიქმნას ცალკე სისტემა MVNO-ს აბონენტების მოსახურებისათვის, რაც ახალი

აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით, კომისიამ დააკორექტირა პროექტი და მითითებული დეტალიზაცია ამოღებულია. დაკორექტირებული ფორმულირება იხილეთ პირველი კომენტარის პასუხში.

პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯებთან არის დაკავშირებული; აგრეთვე, გარკვეული პერიოდულობით საჭირო გახდება ჩვენი ქოლცენტრის თანამშრომლების გადამზადება, რათა შეისწავლონ MVNO-ს მომსახურებები, ტარიფები, პაკეტები და პირობები, რომ შევძლოთ არადისკრიმინაციული, სათანადო ხარისხის მომსახურების გაწევა MVNO-ს აბონენტებისთვის, რაც ასევე დამატებითი ხარჯია კომპანიისათვის. დამატებით, გაუგებარია თუ როგორ უნდა განხორციელდეს ჩვენი კომპანიის აპლიკაციით MVNO-ს აბონენტების მომსახურება. ჩვენი ბრენდირებული აპლიკაცია მორგებულია ჩვენს შეთავაზებებზე და ვერ შეესაბამება MVNO-ს შეთავაზებებსა და ბრენდს. ტექნიკურადაც შეუძლებლად მიგვაჩნია ერთ აპლიკაციაში ორი სხვადასხვა ოპერატორის შეთავაზებების/მომსახურებების ინტეგრაცია, მითუმეტეს, რომ მსგავსი პრაქტიკა ჯერ არსად განხორციელებულა. მიგვაჩნია, რომ სალიცენზიო პირობებიდან ამოღებულ უნდა იქნას დამატებითი მომსახურებების (VAS) მიწოდება, SIM ბარათის მენეჯმენტი, აბონენტების ბილინგი (Pre-Paid და Post-Paid), მათ შორის თვითმომსახურების საშუალებები ( self-caring tools) და კომუნიკაციის სახეები (API).

3

**პირობა N3** - ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია აწარმოოს მოლაპარაკებები შესაბამის ქსელზე დაშვების ყველა მსურველ MVNO ოპერატორთან, სამართლიანი და არადისკრიმინაციული პირობებით (მიუხედავად იმისა MVNO იქნება ახალი შემომსვლელი, თუ ბაზარზე უკვე არსებული მოთამაშე);  
 მიგვაჩნია რომ აღნიშნული ჩანაწერი MVNO-ს აძლევს საშუალებას იყოს MVNO ორ სხვადასხვა ქსელის ოპერატორთან, რაც მიუღებლად მიგვაჩნია.

აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს იმას, რომ MVNO-ს უფლება აქვს აწარმოოს მოლაპარაკებები ქსელზე დაშვების მიზნით ორ ან მეტ ქსელის მფლობელ ოპერატორთან (MNO-სთან), თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე MVNO-ს აბონენტს ერთდროულად უნდა ჰქონდეს წვდომა ერთზე მეტი ქსელური ოპერატორის ქსელთან. აღნიშნულ შეზღუდვა განპირობებულია იმით, რომ საქართველოში ამ ეტაპზე არ არსებობს ეროვნული როუმინგი.

**პირობა N4** - ასევე, წარმოგიდგენთ ჩვენს პოზიციას 5G ქსელის დაფარვასთან და დაფარვის ვადებთან დაკავშირებით. ჩვენს კომპანიას 2021 წლის 03 აგვისტოს N571/21 და 2023 წლის 27 იანვრის N33/23 წერილებითაც დაფიქსირებული ჰქონდა, რომ თბილისი-გუდაური-სტეფანწმინდა, ახალციხე-ვარძია, ონი-შოვი და ჟინვალი-შატილის საავტომობილო გზების მონაკვეთები ამოღებულ უნდა იქნას დაფარვის ვალდებულების ნაწილიდან, ვინაიდან აღნიშნული გზების დიდი ნაწილი გადის დაუსახლებელ ხევში, ქედებს შორის, შესაბამისად, კომისიის მიერ შემოთავაზებული 90%-იანი დაფარვა მინიმალური მოთხოვნებით, დაკავშირებულია ძალიან დიდ კაპიტალდაბანდებასთან, ხოლო სეზონურად (ზამთარში) აღნიშნული გზების დაფარვის უზრუნველსაყოფად აშენებული საბაზო სადგურების მომსახურება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მოცემული გზების მარშრუტები სტანდარტულ 90%-იან დაფარვის ვალდებულებათა ცხრილში არ უნდა იყოს გათვალისწინებული და მათ მიმართ ალტერნატიული პრინციპია მოსაძებნი (მაგ. აღნიშნული გზების გასწვრივ დასახლებული პუნქტები ან აღნიშნული გზების მაქსიმუმ 50% დაფარვის ვალდებულება).

ცალკე გვინდა გამოვყოთ საკონსულტაციო დოკუმენტში მითითებული ვალდებულება, ოპერატორმა უზრუნველყოს მობილურ/უსადენო ფართოზოლოვან მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოს რკინიგზის ჩამოთვლილი მონაკვეთების გასწვრივ მანძილის  $\geq 90\%$  იმგვარად, რომ გაზომვების შედეგად მიღებული მინიმალური საშუალო სიჩქარე (შემადგენლობის შიგნით-Indoor) შეადგენდეს  $\geq 10$ მბ/წმ-ს. მოცემული ვალდებულების უზრუნველსაყოფად ავტორიზებული პირი ვალდებული იქნება შესაბამისი მოწყობილობები განათავსოს რკინიგზის შემადგენლობის შიგნით. მოწყობილობების რკინიგზის შემადგენლობაში განთავსება კი საქართველოს რკინიგზის ნებაზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში თუ საქართველოს რკინიგზა გამოთქვამს

1. კომპანიის მოთხოვნა საავტომობილო გზების შესახებ ნაწილობრივ გათვალისწინებულია, კერძოდ იმის გამო, რომ ჟინვალი-შატილის გზა სრულად ფუნქციონირებს მხოლოდ ზაფხულის სეზონის განმავლობაში - აქ შესაძლებელია 90%-ის დაფარვა მობილური იყოს მხოლოდ მონაკვეთზე ჟინვალი - კორმა, ასევე სოფლებში - გუდანი, ბისო, ხახმატი. რაც შეეხება დანარჩენ მონაკვეთებს:

- ა) თბილისი - გუდაური - სტეფანწმინდა - მოცემული გზა ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში და არის მუდმივად დატვირთული;
- ბ) ახალციხე-ვარძია - მოცემული გზა ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში;
- გ) ონი-შოვი - მოცემული გზა ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში;

2. კომპანიის მოთხოვნა რკინიგზის შესახებაც ნაწილობრივ გათვალისწინებულია, კერძოდ პროექტში არსებული ჩანაწერი დაკორექტირდება შემდეგნაირად: „უზრუნველყოს მობილურ/უსადენო ფართოზოლოვან მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოს რკინიგზის ქვემოთ ჩამოთვლილი მონაკვეთების გასწვრივ მანძილის  $\geq 90\%$  იმგვარად, რომ გაზომვების შედეგად მიღებული მინიმალური საშუალო სიჩქარე შეადგენდეს  $\geq 10$  მბ/წმ-ს; (ვალდებულების შემოწმება განხორციელდება ავტომობილის შიგნით, რკინიგზის გასწვრივ ლიანდაგიდან არაუმეტეს 500 მეტრის დაშორებით)“.

აღნიშნულის შესაბამისად დაკორექტირდა ასევე „მომსახურების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგია“;

		<p>თანხმობას მოწყობილობების განთავსებასთან დაკავშირებით, მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება განთავსების ღირებულება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მოთხოვნა ხელოვნურად ქმნის ვალდებულებას, რომ კერძო კომპანიამ გააფორმოს ხელშეკრულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიასთან, რაც არათანაბარ პარტნიორულ პირობებში აყენებს ავტორიზებულ პირს რკინიგზასა და რკინიგზის შემადგენლობებზე ექსკლუზიური უფლების მქონე სახელმწიფო შპს-თან, რომელსაც სრული უფლება აქვს უარი უთხრას ოპერატორს რაიმე სახის მოწყობილობების განთავსებაზე რკინიგზის შემადგენლობის შიგნით ან/და აღნიშნული განთავსებისათვის ავტორიზებულ პირს მოსთხოვოს შეუსაბამოდ მაღალი საფასური. ჩვენთვის გაუგებარია, როგორ უნდა მიიღოს ავტორიზებულმა პირმა კონკრეტული ვალდებულების შესრულების პირობა, რომლის შესრულებაც დაკავშირებულია ერთ კონკრეტულ ექსკლუზიურ კომპანიასთან ხელშეკრულების დადების ვალდებულებასთან, თუ ამ კომპანიას არ აქვს ოპერატორის დაშვების და შესაბამისი აპარატურის განთავსების საპირწონე ვალდებულება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს ვალდებულება საერთოდ არ უნდა იქნას გათვალისწინებული.</p>	
5	<p><b>შპს "სელფი მობაილ" №შ-23-6/2067, 22.06.2023</b></p>	<p>რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრა 1800 მჰც სიხშირულ დიაპაზონზე გამოსაცხადებელ აუქციონში</p>	<p>კომისიამ გაითვალისწინა ოპერატორის მოთხოვნა. ვინაიდან მაღალკონცენტრირებულ, უსადენო/მობილურ ბაზრის სეგმენტზე, კონკურენციის მისაღებ მინიმალურ დონეს წარმოადგენს მინიმუმ სამი ოპერატორისათვის კონკურენტული სამოქმედო პირობების შექმნა, კომისია მიიჩნევს, რომ მოცემული აუქციონის ფარგლებში, უნდა განისაზღვროს ისეთი სახის დასაშვები რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც საშუალებას მისცემს მინიმუმ სამ ქსელურ ოპერატორს, კონკურენტული უსადენო/მობილური მომსახურება შესთავაზოს აბონენტებს. ვინაიდან 1,800 მჰც დიაპაზონში ხელმისაწვდომია 150 მჰც-იანი რესურსი, აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება უნდა შეეზღუდოს პირს, რომელიც აუქციონის გამოცხადების მომენტისათვის, დამოუკიდებლად ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად არის, ან აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში</p>

			<p>გახდება 1,800 მკვ დიაპაზონში 2x25 მკვ რადიოსიხშირულ რესურსზე მეტის მფლობელი.</p>
6	<p><b>შპს "მაგთიკომი" - №შ-23-6/1812, 25.05.2023</b></p>	<p>1. სალიცენზიო ვალდებულება - "უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ მომსახურებებზე მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების საბითუმო დაშვება (მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების საბითუმო დაშვების პირობები, ასევე დაშვების ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული ყველა სხვა წინაპირობა, მოწვევის ოფერტების, შეთანხმებისა და მოლაპარაკების პროცესის ჩათვლით განმარტებულია ამ გადაწყვეტილების აღწერილობით/სამოტივაციო ნაწილში". კომისია ან მიზანმიმართულად ცდილობს შექმნას ხელოვნური დაბრკოლებები/ბარიერები, რათა არ მოხდეს საქართველოში 5G ტექნოლოგიის დანერგვა, ან კომისიის წევრები არიან დაინტერესებული სუბიექტები მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების (MVNO) მხარეს. კომისიის მიერ ამ სალიცენზიო ვალდებულების განსაზღვრა ამ ფორმით სხვა ლოგიკური ახსნის საშუალებას არ ტოვებს. 2022 წლის 29 დეკემბერს გამართული ზეპირი მოსმენის დროს, როდესაც იხილებოდა კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებაში ცვლილებების (მობილური ვირტუალური ოპერატორის სავალდებულო დაშვების შესახებ რეგულაციის ამოქმედების საკითხი) შეტანის საკითხი კომისიის მხრიდან ცალსახად იქნა დაფიქსირებული, რომ ამ რეგულაციის 6 თვით გადავადება განპირობებული იყო კომისიის მიერ ევროპულ ექსპერტებთან ერთად საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის სრულფასოვანი კვლევის დაწყებით, რის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ტელეკომ ბაზარზე არსებული კონკურენციის შეფასება, დადგინდეს შესაბამისი ბაზრები და საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორისთვის</p>	<p>კომისიამ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ აუქციონის ერთ-ერთ პირობად დაეწესებინა მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის საბითუმო დაშვების ვალდებულება. როგორც თავად ამ აუქციონის, ასევე აუქციონის პირობებით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების (მათ შორის მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის საბითუმო დაშვება) მიზანია ქვეყანაში ახალი თაობის ქსელისა და ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება. კომისიას მიაჩნია, რომ ახალი თაობის ტექნოლოგიებისა და მომსახურების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა საქართველოშიც შეუძლიათ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორები, საქართველოში არ არიან ფართოდ განვითარებულები, მათ არ აქვთ შესაბამისი ფინანსური რესურსი, რომ დამოუკიდებლად განავითარონ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი, თუმცა, ქსელის მფლობელი ოპერატორების მიერ საკუთარ ქსელზე დაშვების შემთხვევაში, მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორები შეძლებენ, რომ მათ ხელთ არსებული რესურსი და ცოდნა გამოიყენონ ქვეყანაში ახალი თაობის ტექნოლოგიებისა და მომსახურებების განსავითარებლად. მეორეს მხრივ, ასეთი ოპერატორებისთვის საკუთარ ქსელზე დაშვება დამატებით შემოსავალს მოუტანს ქსელის მფლობელ ოპერატორებსაც. სწორედ აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ კომისიამაც, როგორც დარგის მარეგულირებელმა ორგანომ, ხელი შეუწყოს ამ პროცესს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია არ იზიარებს შპს „მაგთიკომის“ პოზიციას დაშვების ვალდებულების სრულად ამოღებასთან დაკავშირებით. კომისია ასევე განმარტავს, რომ წინასწარი რეგულირების (Ex-Ante) ფარგლებში დაწესებული დაშვების ვალდებულება და სალიცენზიო პირობის სახით დაწესებული დაშვების ვალდებულება, არ არის ერთმანეთის ექვივალენტური და ერთმანეთის ჩამნაცვლებელი. მათ გააჩნიათ განსხვავებული მიზნები, განსხვავებულია მათი სუბიექტები, მოქმედების ვადა და გავრცელების არეალი. აქედან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ მის მიერ წარმოებული ბაზრის შესწავლა და ამ შესწავლის</p>



განისაზღვროს სპეციფიკური ვალდებულებები. შესაბამისად, მხოლოდ ამ კვლევის შედეგების მიხედვით, 2023 წლის 1 ივლისამდე, გადაწყდებოდა მოხდებოდა თუ არა მობილური ვირტუალური ოპერატორის სავალდებულო დაშვების შესახებ რეგულაციის ძალაში დატოვება, მისი გაუქმება, თუ მისი პირობების სხვაგვარი ცვლილება. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 1 ივლისიდან უკვე არარელევანტური თარიღია, ვინაიდან 2023 წლის 18 მაისს კომისიამ დაიწყო ახალი საჯარო ადმინისტრაციული წარმოება - მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სემინტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის Nგ-20-9/156 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და გამოქვეყნებული გადაწყვეტილების პროექტით ახალ თარიღად განისაზღვრულია 2024 წლის 30 ივნისი. კომისიის ამ განმარტებების შემდეგ, პოტენციურ “5G აუქციონში” MVNO-ს სავალდებულო დაშვების რეგულაციის ფაქტობრივად ანალოგიური პირობების განსაზღვრა სალიცენზიო ვალდებულებად არის კომისიის ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია. მეტი სიცხადისთვის, თუ კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ კომისიის მიერ 2019 წლის 31 დეკემბერს მიღებული MVNO-ს სავალდებულო დაშვების რეგულაცია არსებული ფორმით გასაუქმებელია, რა აზრი ექნება მის გაუქმებას, თუ ანალოგიური რეგულაცია (უფრო მძიმე კი) უკვე იარსებებს სალიცენზიო ვალდებულების სახით. შესაბამისად, ნათელია რომ კომისია რეალურად საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის სრულფასოვანი კვლევის პოტენციური შედეგების სრულ იგნორირებას ახდენს, როდესაც ცდილობს “5G აუქციონში” MVNO-ს სავალდებულო დაშვების რეგულაციის

შედეგები, ვერ მოახდენს გავლენას აუქციონის ფარგლებში დაშვების ვალდებულების დაწესებაზე. აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ განსხვავებით ევროკავშირის ქვეყნებისა, საქართველოში MVNO ბაზარი განვითარების დამწყებ სტადიაში იმყოფება, ხოლო გამომდინარე 5G ტექნოლოგიის მნიშვნელობიდან, კომისია მიიჩნევს, რომ საქართველოსთვის აღნიშნული დაშვების ვალდებულება მეტად აქტუალურია. შპს „მაგთიკომის“ თხოვნის პასუხად, კომისია განმარტავს, რომ ევროპის ქვეყნებში გამოცხადებულ აუქციონებში სალიცენზიო პირობად მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებისთვის დაშვების ვალდებულების არსებობა დამკვიდრებული პრაქტიკაა. ქვემოთ წარმოდგენილია ევროპის რამდენიმე ქვეყნის მაგალითი, სადაც მიუხედავად განვითარებული MVNO ბაზრისა, 5G აუქციონებში MVNO დაშვება, ხშირ შემთხვევაში ეროვნულ როუმინგთან ერთად, სალიცენზიო ვალდებულებამია ასახული. **ჩეხეთის რესპუბლიკა** (136 MVNO, 133 დამოუკიდებელი<sup>1</sup>) - 700 მჰც სიხშირეზე გამარჯვებული ყველა პირი ვალდებულია უზრუნველყოს საბითუმო დაშვება MVNO-სთვის 2026 წლის 24 თებერვლამდე. ფასები ურთიერთობაში განსაზღვრული უნდა იყოს „price squeeze“ ტესტის მიხედვით, თანაბრად ეფექტური ოპერატორისთვის<sup>2</sup>. **პორტუგალია** (7 MVNO) - ოპერატორები, რომლებიც არ არიან ახალი შემომსვლელები და მოიპოვებენ 2x10 მჰც სიხშირეს 700 მჰც დიაპაზონში ან მინიმუმ 50 მჰც სიხშირეს 3.4-3.8 გჰც დიაპაზონში, ვალდებულნი არიან დაუშვან “full” და “light” MVNO-ები სიხშირის ლიცენზიის განმავლობაში<sup>3</sup>. **საბერძნეთი** (7 MVNO<sup>4</sup>) - ლიცენზიის ყველა მფლობელი, ლიცენზიის ვადის განმავლობაში, ვალდებულია უზრუნველყოს MVNO დაშვება კომერციული პირობებით, ფასის კონტროლის გარეშე, თუმცა შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დარგის მარეგულირებელი ორგანო იტოვებს შესაძლებლობას ჩაერიოს დავის გადაწყვეტაში<sup>5</sup>. მობილური კავშირგაბმულობის მომავალი თაობა (5G) წარმოადგენს ციფრული ტრანსფორმაციის მთავარ დასაყრდენს, ვინაიდან 5G გვთავაზობს უზარმაზარი ინვოაციების და ინდუსტრიული განვითარების პოტენციალს. ქვეყანაში დაინერგება 5G სერვისები, რაც მნიშვნელოვნად შეცვლის ქვეყნის როგორც ტექნოლოგიურ, ასევე ეკონომიკურ მდგომარეობას,

<sup>1</sup>[https://www.berec.europa.eu/sites/default/files/files/document\\_register\\_store/2022/1/BoR\\_%2822%29\\_06\\_BEREC\\_Opinion\\_CZ\\_2021\\_2351.pdf](https://www.berec.europa.eu/sites/default/files/files/document_register_store/2022/1/BoR_%2822%29_06_BEREC_Opinion_CZ_2021_2351.pdf)  
<sup>2</sup><https://www.cullen-international.com/client/site/documents/FLSPCZ20200002>  
<sup>3</sup><https://www.cullen-international.com/client/site/documents/FLSPPT20200002>  
<sup>4</sup><https://messaggio.com/messaging/greece/#:~:text=MCCMNC%20in%20Greece,virtual%20network%20operat>  
<sup>5</sup><https://www.cullen-international.com/client/site/documents/FLSPGR20200001>

ფაქტობრივად ანალოგიური პირობები განსაზღვროს ერთ-ერთ სალიცენზიო ვალდებულებად. ამ ნაწილში კომისიის პოზიციის მიმართ დამატებით ობიექტურ კითხვებს ბადებს ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ როდესაც კომისია ყველა მის საჯარო განცხადებაში თავად და ცალსახად ადასტურებს, რომ მას გააჩნია ყველა სამართლებრივი მექანიზმი, როგორც ბაზრის წინასწარი რეგულირების - “Ex Ante”, ასევე შემდგომი რეაგირების თვალსაზრისით “Ex Post”, რა აუცილებლობას წარმოადგენს დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების გაჩენა სალიცენზიო ვალდებულების სახით? ეს კითხვები განსაკუთრებით აქტუალური ხდება იმ ფასდაკლებების გათვალისწინებით, რაც კომისიამ განსაზღვრა ამ სალიცენზიო ვალდებულების გამო პროექტით განსაზღვრულ ლიცენზიების საფასურებზე. სრულიად ბუნდოვანია კონკრეტული ფასდაკლების გამოყენების კრიტერიუმები, ოდენობა და მისი თანაფარდობა MVNO-სთან დაკავშირებულ სალიცენზიო ვალდებულებასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაგთიკომი კომისიის მიერ ლიცენზიის საფასურზე მაქსიმალური ფასდაკლების განხორციელებას დადებით ნაბიჯად შეაფასებს, თუ მისი გამოყენების საფუძველი იქნება საქართველოში 5G ტექნოლოგიის დანერგვის წახალისება/ხელშეწყობა და არა კომისიის არასწორი და სუბიექტური მოსაზრებებით განსაზღვრული სალიცენზიო ვალდებულების არსებობა. კომისიის 2023 წლის 15 მარტის N გ-23-03/551 წერილით ამ საკითხზე მიღებული განმარტებები სრულიად არარელევანტურია მაგთიკომის მიერ დაფიქსირებულ პოზიციასთან. ამასთან, გთხოვთ, გაგვიზიაროთ ევროკავშირის ქვეყნების ის მაგალითები, სადაც გამოცხადებულ 5G აუქციონებში სალიცენზიო პირობად მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებისთვის დაშვების ვალდებულების არსებობა დამკვიდრებული პრაქტიკაა. ხაზგასმით და ცალსახად გვინდა იმ ფაქტის დაფიქსირება, რომ კომისიის მხრიდან ამ

ხელს შეუწყობს ისეთი სერვისების განვითარებას, როგორცაა ელექტრონული მმართველობა და ქვეყნის ინტერნეტიზაცია. განვითარდება ინდუსტრიული სექტორი. ქსელის არქიტექტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდება მომსახურების შეთავაზება, როგორც დიდ რეგიონზე (macro cell), ასევე სპეციფიური ლოკალური და მცირე ტერიტორიულ მასშტაბზე გათვლილი მომსახურების (micro cell) გაშვება. სწორედ ამ უპირატესობების და თავისებურებების გამო, არის აღნიშნული ტექნოლოგია მიჩნეული ინდუსტრიული „რევოლუციის“ განვითარების მთავარ ქვაკუთხედად, რაც ბიზნესისთვის უსაზღვრო შესაძლებლობებს იძლევა. გამომდინარე იქიდან, რომ 5G სიხშირული რესურსი შეზღუდულია და ყველა მსურველს არ ექნება შესაძლებლობა შეიძინოს სიხშირული რესურსი, საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის ქსელზე დაშვება 5G ქსელის განვითარებაზე იმოქმედებს პოზიტიურად. უკეთ დაკმაყოფილდება საკომუნიკაციო პროდუქტებით ე.წ. „ნიშური“ სეგმენტები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ წახალისდეს კონკურენცია და ინოვაციური სერვისების მიწოდება, ბაზარზე ახალი შემომსვლელების გამოჩენის გზით, მოხდეს არსებული ოპერატორების ქსელის და რადიოსიხშირული სპექტრის უკეთესი უტილიზაცია, ასევე ბაზარზე ახალი სეგმენტების სტიმულირება და შეიქმნას ახალი საბითუმო შემოსავლის წყარო, არსებული ოპერატორებისთვისაც მიზანშეწონილია ვირტუალური ქსელის ოპერატორების დაშვების ვალდებულება 5G სიხშირული სპექტრის ლიცენზიებში სავალდებულო პირობად განისაზღვროს. კომისიამ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის 5G ტექნოლოგიებზე დაშვების უზრუნველყოფის მნიშვნელობა ასევე ხაზგასმით დააფიქსირა შესაბამის ლოტებზე ფასდაკლების სიდიდით, რომელიც განისაზღვრა არსებული დადგენილების მაქსიმალური მნიშვნელობით - 20%-ით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნია, MVNO-ს საბითუმო დაშვების ვალდებულების სრულად ამოღება აუქციონის პირობებიდან, თუმცა კომისიამ გარკვეულწილად გაიზიარა ოპერატორების მოსაზრებები და ერთი ლოტი აუქციონზე გამოტანილ იქნება ამ ვალდებულების გარეშე, ასევე დაკორექტირდა და უფრო ზოგადი გახდა დაშვების ვალდებულება იმ ლოტებზე, სადაც შენარჩუნდა აღნიშნული ვალდებულება. დეტალური ფორმულირება იხილეთ პირველი კომენტარის პასუხში.

	<p>საკითხზე მიღებული „განმარტებები“ სრულად აცდენილია საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეალობას, არის დემაგოგიის ნათელი მაგალითი და მცდელობა გადაიფაროს კომისიის ან მისი წევრების არაბუნებრივი ინტერესი, რაც უკვე წლების განმავლობაში ფიქსირდება მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების (MVNO) საკითხის მიმართ. ამ საკითხის რეზიუმირების კუთხით, გვინდა დავაფიქსიროთ, რომ პროექტიდან ამოღებული უნდა იქნას მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებისთვის დაშვების სალიცენზიო ვალდებულება (MVNO), თუ კომისია რეალურად არის დაინტერესებული საქართველოში 5G ტექნოლოგიის დანერგვით. ამასთან, კიდევ ერთხელ, გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებულმა ომმა არსებითად ნეგატიური გავლენა მოახდინა ნებისმიერ ახალ საინვესტიციო წამოწყებაზე, მათ შორის, 5G ტექნოლოგიის საქართველოში დანერგვის პერსპექტივაზე. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, კომისიის მიერ კიდევ დამატებითი უსაფუძვლო ბარიერების გაჩენა - MVNO-სთან დაკავშირებული სალიცენზიო ვალდებულების განსაზღვრის სახით, ამ პერსპექტივის განხორციელებას ფაქტობრივად შეუძლებელს გახდის.</p>	
7	<p>2. კვლავ ბუნდოვანი და გაურკვეველია 5G მომსახურების დანერგვისათვის ისეთი აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების საკითხი, რომელიც უმნიშვნელოვანესია პროექტით წარმოდგენილი დაფარვის ვალდებულებების და მოთხოვნილი სიჩქარეების შესასრულებლად, მაგალითად: რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების სანიტარული წესების და ნორმების საერთაშორისო გამოცდილებასთან შესაბამისობაში მოყვანა. კომისიისგან მოგვეწოდა ინფორმაცია, რომ პროექტის სახით შექმნილია დოკუმენტი და გადაგზავნილია უფლებამოსილ სამინისტროში, რაც არ დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,</p>	<p>კომისიის ინიციატივით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით და „მსოფლო ბანკის“ მხარდაჭერით, დასრულდა მუშაობა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში ელექტრომაგნიტური გამოსხივების სანიტარული წესების და ნორმების პროექტის შემუშავებაზე. შემუშავებული დოკუმენტის ორიგინალური ვერსია, რომელშიც რეკომენდებულია ICNIRP 2020 - ით განსაზღვრული ნორმების დანერგვა, 2022 წლის ნოემბერში მიეწოდა განხილვისთვის და შემდგომი რეაგირებისთვის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს;</p>

	<p>ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის 16 მაისის #MOH 5 23 00514037 წერილით (იხ. დანართი). კომისიას სურს აუქციონის ჩატარება იმ დროს, როდესაც სანიტარული ნორმები (განახლებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად) დადგენილი არ არის. შესაბამისად, ეს გარემოება ავტორიზებული პირებისათვის აუქციონში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბარიერს წარმოადგენს, ვინაიდან ქსელის აგება შეუძლებელია, როდესაც განახლებული სანიტარული ნორმები დაუდგენელია.</p>	
8	<p><b>3.</b> როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მაგთიკომი დიდი ხანია დაინტერესებულია 800 მჰც სიხშირული ზოლის შექმნით, თუმცა ამ სურვილის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა 800MHz-იან სიხშირულ ზოლში დამატებითი რესურსის (2x5MHz) შექმნის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყოს ავტორიზებული პირების საკუთრებაში არსებული სიხშირული ზოლების მიმდევრობითი განლაგება. კომისიის 2023 წლის 15 მარტის Nგ-23-03/551 წერილით ამ საკითხზე მიღებული განმარტებები ფაქტობრივად დადასტურებდა იმ ფაქტის, რომ კომისია ვერ ასრულებს თავის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას, კერძოდ - „ამოწურვადი რესურსების მართვა და მათი ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, ინოვაციური ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის უზრუნველსაყოფად და კონკურენტუნარიანი გარემოს განვითარებისათვის რადიოსიხშირული სპექტრის ოპტიმალური განაწილება და ეფექტიანი გადანაწილება, რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოპოვების გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული პირობებისა და წესების დადგენა, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა/სარგებლობის უფლების მინიჭება და ლიცენზიის/რესურსით სარგებლობის უფლების გაუქმება“. შესაბამისად, აუცილებლად მიგვაჩნია კომისიის</p>	<p>იმ შემთხვევაში თუ კომპანიებს შორის, რომლებიც ფლობენ ლიცენზიებს 800 მჰც სიხშირულ დიაპაზონში, მოხდება შეთანხმება დასმულ საკითხთან დაკავშირებით, კომისია მზადაა განახორციელოს ლიცენზიების მოდიფიცირება. ასევე, კომისია მზადყოფნას გამოთქვამს დაგეხმაროთ კომპანიებს შორის მოლაპარაკების/შეთანხმების მიღწევის პროცესში და აუქციონის გამართვამდე მოაწილოს შეხვედრები ოპერატორებთან.</p>

		<p>კონკრეტული ხედვის მიღება ამ საკითხთან დაკავშირებით.</p>	
9		<p>4. დაფარვის ვალდებულებით განსაზღვრულ ლოკაციებზე, სადაც არ არსებობს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა ან მისი მშენებლობა მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული, აქვს თუ არა კომისიას ან სახელმწიფოს კონკრეტული გეგმა/ხედვა, რომელიც ითვალისწინებს მსგავსი ქსელის შექმნას? გთხოვთ, გაგვიზიაროთ იგი, ასეთის არსებობისას.</p>	<p>სახელმწიფოს მიერ, 2023 წლის 31 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიწნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“, რაც სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასა და სატელეკომუნიკაციო მიწნებისთვის გამოყენებად ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვებით, ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიაზე მაღალსიხშირის, ფართოზოლოვანი ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარებას. ასევე, ავლნიშნავთ, რომ სახელმწიფო ახორციელებს "ოუფენ ნეტის" - პროექტს, რომლის ფარგლებში აშენებული ოპტიკური ქსელი შესაძლებელი იქნება, რომ იყოს გამოყენებული 5G საბაზო სადგურების დასაკავშირებლად.</p> <p>კომპანიამ ზეპირ მოსმენაზე განაცხადა კონკრეტული ლოკაციების შესახებ (ს. შატილი, ს. ომალო, ს. შენაქო), სადაც ინფრასტრუქტურული სიძნელებიდან გამომდინარე, ამ სიძნელების აღმოფხვრამდე, შეუძლებელი იქნება შესაბამისი მომსახურების მიწოდება. კომისიამ გაითვალისწინა აღნიშნული პოზიციაც და გაკეთდა შემდეგი დათქმა:  „გეოგრაფიული და ინფრასტრუქტურული სირთულეების გათვალისწინებით, ს. შატილის, ს. ომალოს და ს. შენაქოს დაფარვის ვალდებულების ათვლა მოხდება ლიცენზიის მფლობელის ან მე-3 პირის მიერ კავშირის ისეთი ტექნიკური სისტემის შექმნიდან, რომელიც უზრუნველყოფს ქსელის აგების მიმართ ITU-R M.2083 და ITU-R M.2410-0, ან მომავალი თაობის IMT ქსელების მიმართ რეკომენდაციების შესრულების და დაფარვის ვალდებულებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში.“</p>
10		<p>5. პროექტში არსებული ჩანაწერი: „უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად გამოყენება; 700 და 3400-3700 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში გაცემული ლიცენზიების განსაზღვრული ვალდებულებების</p>	<p>შპს „მაგთიკომის“ მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, არ აღდგა პირვანდელი ჩანაწერი, თუმცა პროექტში არსებული ჩანაწერი დაკორექტირდა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად - „უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად გამოყენება; 700; 3,400-3,700; 2600 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში გაცემული ლიცენზიების</p>

ფარგლებში აგებული ქსელები უნდა აკმაყოფილებდეს 5G მომსახურებების მოთხოვნებს, როგორც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 იანვრის №60 განკარგულებით დამტკიცებულ „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმაში“. ქსელი უნდა იყოს აგებული მხოლოდ იმ ტექნიკური გადაწყვეტების საფუძველზე რომლებიც აკმაყოფილებს ITU-R M.2083 და ITU-R M.2410-0 ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს მომსახურებების მიმართ. მათ შორის, რეკომენდაციების შესაბამისად, ქსელის რადიო ინტერფეისი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს დაყოვნების მიმართ (User plane latency), გაფართოებული ფართოზოლოვანი მომსახურებისთვის (eMBB) არაუმეტეს 4 მწმ, და ულტრასანდო კავშირისთვის (URLLC) არაუმეტეს 1 მწმ-ისა. ქსელის აგებისას ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული მხოლოდ ის (ტექნიკური) გადაწყვეტები, რომლებსაც აქვს საშუალება ჰქონდეს 100 მჰც-მდე სიგანის მზიდი სიხშირის ზოლი აგრეგაციის გარეშე“.

მიგვაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული გამუქებული ჩანაწერი ზედმეტია და სამომავლოდ შეიძლება შექმნას გარკვეული გაუგებრობები ტექნოლოგიური განვითარებისათვის და ამავდროულად გამოიყურება ალოგიკურადაც, იმ დროს, როცა დღეისათვის ჩამოყალიბებული არ არის სამომავლო ტექნოლოგიების სტანდარტები, მაგალითად 6G სიხშირეებისათვის და შესაბამისად ინჟინრულ/ტექნოლოგიურად ქსელის აგების არქიტექტურისათვისაც გაუმართლებელია. ამავ დროს, ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგება კანონით გათვალისწინებულ ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპსაც. აღსანიშნავია, რომ კომისიის მიერ მოწოდებული დოკუმენტის წინა ვერსია ამ საკითხზე გონივრულ ჩანაწერს შეიცავდა, კერძოდ: „უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნიკური პირობების

განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში, აგებული ქსელები უნდა აკმაყოფილებდეს 5G მომსახურებების მოთხოვნებს, როგორც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 იანვრის №60 განკარგულებით დამტკიცებულ „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 - 2025 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმაში“. ქსელის შესაბამისი ფუნქციონალური კომპონენტები უნდა იყოს აგებული და დროის ნებისმიერ მომენტში ფუნქციონირებდეს მხოლოდ იმ ტექნიკური გადაწყვეტების საფუძველზე, რომლებიც ქსელის აგების არქიტექტურის გათვალისწინებით აკმაყოფილებს ITU-R M.2083 და ITU-R M.2410-0 ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს მომსახურებების მიმართ, ან აკმაყოფილებს ITU-ს მიერ ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს შემდეგი თაობის IMT ტექნოლოგიების მიმართ.

ქსელის აგებისას და ფუნქციონირებისას, ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული მხოლოდ ის (ტექნიკური) გადაწყვეტები, რომლებსაც აქვს საშუალება ჰქონდეს არანაკლებ 100 მჰც (3,400 -3,700 მჰც დიაპაზონისთვის) და არანაკლებ 30 მჰც-მდე სიგანის მზიდი სიხშირის ზოლი აგრეგაციის გარეშე (700 და 2,600 მჰც დიაპაზონებისთვის).“

	<p>შესაბამისად გამოყენება; 700 და 3400-3700 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში გაცემული ლიცენზიების განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში აგებული ქსელები უნდა აკმაყოფილებდეს 5G მომსახურებების მოთხოვნებს, როგორც განსაზღვრულია „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 ეროვნულ სტრატეგიასა“, ITU-ს IMT-2020 და ETSI TS 123 501 და ETSI TS 138 401 სტანდარტებში, ამავე დროს აგებული იყოს ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის გათვალისწინებით“.</p>	
11	<p>6. პროექტით განსაზღვრული ჩანაწერი: „37. ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის ვადაში წინამდებარე გადაწყვეტილებით გამოცხადებული №1-№4 აუქციონების საფუძველზე გაცემული ლიცენზიის/ლიცენზიების გაუქმება (გარდა ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვისა) გამოიწვევს ზემოაღნიშნული ლიცენზიის/ლიცენზიების მფლობელი კომპანიის სარგებლობაში არსებული და წინამდებარე გადაწყვეტილებით გამოცხადებული №5-№23 აუქციონების საფუძველზე გაცემული ლიცენზიის/ლიცენზიების გაუქმებას; ასევე ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის ვადაში წინამდებარე გადაწყვეტილებით გამოცხადებული №11-№21 აუქციონების საფუძველზე გაცემული ლიცენზიის/ლიცენზიების გაუქმება (გარდა ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვისა) გამოიწვევს ზემოაღნიშნული ლიცენზიის/ლიცენზიების მფლობელი კომპანიის სარგებლობაში არსებული და წინამდებარე გადაწყვეტილებით გამოცხადებული №22-№23 აუქციონების საფუძველზე გაცემული ლიცენზიის/ლიცენზიების გაუქმებას;“ - ვფიქრობთ, რომ ეს ჩანაწერი არარელევანტურია იმ რისკთან, რის დაფარვასაც ცდილობს კომისია. მაგ.: 15 წლიან პერსპექტივაში შეიძლება ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა წარმოშვას ისეთი აუცილებლობა, რისი პროგნოზირებაც ამ ეტაპისთვის შეუძლებელია, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება წარმოშვას გარკვეული სიხშირეების ნაწილის დათმობის აუცილებლობა. შესაბამისად, 15 წლიან</p>	<p>შპს „მაგთიკომის“ მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ პროექტში არსებული ჩანაწერი დაკორექტირდა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად  „38. ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის ვადაში, წინამდებარე გადაწყვეტილებით გამოცხადებული №1-№4 აუქციონების საფუძველზე გაცემული ლიცენზიის/ლიცენზიების გაუქმება (გარდა ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვისა) გამოიწვევს ზემოაღნიშნული ლიცენზიის/ლიცენზიების მფლობელი კომპანიის სარგებლობაში არსებული და წინამდებარე გადაწყვეტილებით გამოცხადებული №5-№24 აუქციონების საფუძველზე გაცემული ლიცენზიის/ლიცენზიების გაუქმებას; ასევე ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის ვადაში, კომპანიის სარგებლობაში არსებული და წინამდებარე გადაწყვეტილებით გამოცხადებული №11-№21 აუქციონების საფუძველზე გაცემული იმ ლიცენზიების გაუქმება (გარდა ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვისა), რომლის სიხშირული რესურსიც მდებარეობს წინამდებარე გადაწყვეტილებით გამოცხადებული №22-№23 აუქციონების საფუძველზე გაცემული ლიცენზიის/ლიცენზიების მომიჯნავედ, გამოიწვევს ზემოაღნიშნული ლიცენზიის/ლიცენზიების მფლობელი კომპანიის სარგებლობაში არსებული და წინამდებარე გადაწყვეტილებით გამოცხადებული №22-№23 აუქციონების საფუძველზე გაცემული ლიცენზიის/ლიცენზიების გაუქმებას.“  შენიშვნა: ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია მისი მოთხოვნის შემთხვევაში, შეინარჩუნოს ცალკე მდგომ ლოტ(ებ)ზე გაცემული ლიცენზია/ლიცენზიები, თუ კომბინირებულ ლოტ(ებ)ზე გაცემული გაუქმებული ლიცენზი(ებ)ით გათვალისწინებული ვალდებულებები გადმოვა ცალკე მდგომ ლოტ(ებ)ზე გაცემულ ლიცენზიაში/ლიცენზიებში და მოხდება ლიცენზი(ებ)ის მოდიფიცირება.“</p>

		<p>პერიოდზე სრულად გავრცელდეს ეს ჩანაწერი - არაგონივრულია.</p>	
12	<p>სს "სილქნეტი" - №შ-23-6/1807, 25.05.2023</p>	<p><b>საკითხი 1. ვირტუალური ოპერატორების (MVNO/ MVNE და MVNA) დაშვების ვალდებულების სალიცენზიო პირობად განსაზღვრის საკითხი</b></p> <p>როგორც Analysys Mason-ის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში არის მოცემული:</p> <p>კომისიის მიერ სავალდებულო სალიცენზიო პირობად განსაზღვრული MVNO დაშვების ვალდებულება ძალიან მკაცრია, შეიცავს ვალდებულებების დეტალიზაციის უპრეცედენტოდ მაღალ დონეს, მათ შორის ოფერტის გამოქვეყნების ვალდებულებას და ევროკავშირის მასშტაბით ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული 34 აუქციონის ფარგლებში არ გვხვდება არც ერთი ამგვარი MVNO დაშვების ვალდებულების დაწესების მაგალითი/პრეცედენტი.</p> <p>კომისიის მიერ სალიცენზიო სავალდებულო პირობად განსაზღვრული MVNO დაშვების ვალდებულება წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირში 2020 წლამდე მოქმედ კანონმდებლობასთან (2002 წლის ტელეკომ პაკეტთან), რომელთან ჰარმონიზაციის ვალდებულებაც საქართველოს ნაკისრი აქვს ასოცირების შეთანხმებით; ასევე, წინააღმდეგობაში მოდის დღეს ევროკავშირში მოქმედ ახალ ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსთან. კომისიას დეტალური ანალიზის გზით არ აქვს დასაბუთებული, რომ ამგვარი, MVNO დაშვების ვალდებულების დაწესება სალიცენზიო სავალდებულო პირობად ყველა ლიცენზიის მფლობელისათვის ნამდვილად გამართლებულია და პროპორციული.</p> <p>მხოლოდ ერთ ქვეყანას, ხორვატიას აქვს სავალდებულო სალიცენზიო პირობად განსაზღვრული MVNO-ების დაშვების ვალდებულება, რომელიც ევროკავშირის მასშტაბითაც ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს და რომელიც ევროკავშირის კანონმდებლობის დარღვევით არის დაწესებული;</p>	<p>იხ. მე-6 კომენტარის პასუხი.</p>



	<p>ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სალიცენზიო პირობებიდან ამოღებულ უნდა იქნეს კომისიის მიერ განსაზღვრული MVNO დაშვების ვალდებულები, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის კანონმდებლობასა და საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებთან</p>	
13	<p><b>საკითხი 2. მთელი საქართველოს მასშტაბით 5G ქსელებით დასახლებული პუნქტების, გზების, მაგისტრალების, სარკინიგზო ტრასების დაფარვისა და მინიმალური სიჩქარით (30 მბ/წმ და 10 მბ/წმ) უზრუნველყოფის მიმე ვალდებულებები და მონიტორინგის მკაცრი წესები.</b></p> <p>როგორც Analysys Mason-ის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში არის აღნიშნული, კომისიის მიერ განსაზღვრული ხარისხის/სიჩქარის (QoS) ვალდებულებები რთული, ისევე როგორც დასაწერად მაღალხარჯიანია და ეფუძნება 2020 წლის ავსტრიის მაგალითს, რაც ერთადერთი გამონაკლისი შემთხვევაა ევროკავშირის მასშტაბით.</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მარეგულირებლები სალიცენზიო პირობად განსაზღვრავენ ხარისხის ვალდებულებებს (QoS), ამგვარ ვალდებულებებს აწესებენ ზოგადი ფორმით, როგორც არის სიგნალის მინიმალური დონე, სექტორის მინიმალური გამტარობა ან მაქსიმალური თეორიული სიჩქარე და არ განსაზღვრავენ მომხმარებლების მიერ რეალურ პირობებში მისაღები სიჩქარის მაჩვენებლებს, როგორც ეს მოცემულია კომისიის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში, რადგან ითვალისწინებენ მობილური ქსელის დამახასიათებელ თავისებურებას, კერძოდ რეალურ პირობებში მომხმარებლების მიერ მიღებული მონაცემთა სიჩქარის ცვალებადობას.</p> <p>კომისიის მიერ სალიცენზიო პირობებით განსაზღვრული</p> <p>ა) თითქმის მთელი საქართველოს მოსახლეობის რეალურ რეჟიმში 30მბ/წმ მინიმალური სიჩქარით უზრუნველყოფა, ისევე როგორც</p> <p>ბ) მომხმარებლების მიერ რეალურ</p>	<p>წინამდებარე შენიშვნა, რომ თითქოს მხოლოდ ავსტრიაში ჩატარებულ სიხშირულ აუქციონებში არის მოთხოვნილი მომსახურების ხარისხის პარამეტრები მონაცემების გადმოწერის მინიმალური სიჩქარის სახით, არ არის ზუსტი. ავსტრიის გარდა, მონაცემების გადმოწერის 30 მბ/წმ მინიმალური სიჩქარე არის ასევე მოთხოვნილი დანიის 2019 წლის აუქციონში, ირლანდიის 2022 წლის აუქციონში, სლოვენის 2021 წლის აუქციონსა და რუმინეთის 2022 წლის აუქციონებში. გადმოწერის მინიმალური სიჩქარე ასევე არის განსაზღვრული მრავალ სხვა ევროპულ ქვეყანაში ჩატარებულ აუქციონებში (იხილეთ Cullen-ის 2023 წლის 17 აპრილის ანგარიში <a href="https://www.cullen-international.com/client/site/documents/CTSPEU20230019">https://www.cullen-international.com/client/site/documents/CTSPEU20230019</a>). აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში დაფარვის ვალდებულებები ვრცელდება მოსახლების უფრო მაღალ პროცენტზე, ვიდრე ეს განსაზღვრულია კომისიის 5G აუქციონის პირობებში - მინიმუმ 90% ავსტრიაში, 95% - ირლანდიაში, 70%-ზე მეტი რუმინეთში, 99% - სლოვენიაში.</p> <p>საქართველოში მოსახლეობის დაფარვის ვალდებულებები ძირითადად ვრცელდება დიდ დასახლებულ პუნქტებზე, სადაც ოპერატორებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ 3.4-3.7 გიგაჰერცის სიხშირული რესურსი, რომელიც შედის კომბინირებულ ლოტში და ეფექტურია მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში. დაფარვის ვალდებულებების შესასრულებლად, ოპერატორებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ მათ განკარგულებაში არსებული სხვა სიხშირული რესურსებიც.</p> <p>აქვე კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ სწორედ ოპერატორების მოსაზრებების გათვალისწინებით შემსუბუქებულია მოთხოვნები ჟინვალი - შატლი მონაკვეთის დაფარვასთან დაკავშირებით, ხოლო რკინიგზის შემთხვევაში - გაზომვები ჩატარდება ვაგონების გარეთ.</p> <p>ამგვარად, კომისია არ მიიჩნევს, რომ დაფარვის მომსახურების ხარისხის ვალდებულებები განსხვავებულია ევროპული პრაქტიკისგან და განსაკუთრებულად მძიმე პირობებს აყალიბებს აუქციონში მონაწილე ოპერატორებისთვის, განსაკუთრებით - სს „სილქნეტისთვის“.</p>

		<p>პირობებში მისაღები 10 მბ/წმ მინიმალური სიჩქარის მაჩვენებლის დაკმაყოფილება საავტომობილო გზებზე და სარკინიგზო მაგისტრალზე დასაშვები სიჩქარით მოძრაობის დროს, მოითხოვს არაადეკვატურად მაღალ კაპიტალურ ინვესტიციებს, ისევე როგორც ვალდებულებების შესრულების კონტროლი ოპერატორების მიერ მოითხოვს მუდმივ არაგონიერულ საოპერაციო დანახარჯებს, რაც შეუძლებელს გახდის ამ ვალდებულებების პრაქტიკულ განხორციელებას.</p> <p><u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ევროკავშირის სხვა ქვეყნების მსგავსად მომსახურების ხარისხთან/სიჩქარესთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სალიცენზიო ვალდებულებები უნდა შეიცვალოს და თუ სიჩქარის ვალდებულებები უნდა გაიწეროს ლიცენზიებით, ამგვარი ვალდებულება უნდა ჩამოყალიბდეს ზოგადი ფორმით, როგორც არის მაგალითად სიგნალის მინიმალური დონე, სექტორის მინიმალური გამტარობა ან მაქსიმალური თეორიული სიჩქარე და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაწესდეს მომხმარებლების მიერ რეალურ პირობებში მისაღები მინიმალური სიჩქარის მოთხოვნები;</u></p>	
14		<p><b>საკითხი 3. რადიოსიხშირული რესურსის საფასურის გაანგარიშებისას გამოყენებული დაფარვის/სიჩქარის პარამეტრების შეუსაბამობა ლიცენზიის პირობებით განსაზღვრულ დაფარვის/სიჩქარის ვალდებულებებთან</b> კომისიის მიერ სალიცენზიო პირობად განსაზღვრული დაფარვის და სიჩქარის ვალდებულებები წინააღმდეგობაში მოდის და რადიკალურად განსხვავდება თვით კომისიის დაკვეთით Ernst &amp; Young-ის მიერ შემუშავებული (5G სიხშირულ რესურსის საფასურის გაანგარიშების) დოკუმენტით განსაზღვრულ იმ ვალდებულებებთან, რომლის მიხედვითაც მოხდა საქართველოში აუქციონზე გამოსატანი სიხშირული რესურსის ფასის ბიზნეს-მოდელირების მეთოდოლოგიით გაანგარიშება;</p> <p>კერძოდ, კომისიის დაკვეთით Ernst &amp; Young-ის მიერ 5G სიხშირული რესურსის</p>	<p>5G სიხშირული რესურსის საფასურის გაანგარიშების საკონსულტაციო დოკუმენტში აღწერილია, თუ რა მონაცემებზე დაყრდნობით და რა პრინციპების საფუძველზე გათვალეს კონსულტანტებმა სიხშირული რესურსის საფასური.</p> <p>დოკუმენტში მითითებულია, თუ როგორ არის განხორციელებული მობილური ინტერნეტის ტრაფიკის ზრდის ექსტრაპოლაცია. კერძოდ, საფუძველად აღებულია კომისიის ხელთ არსებული, 2015-2019 წლებში მობილური ინტერნეტის ტრაფიკის მოცულობა და გათვალისწინებულია ყოველწლიური 20%-ანი ზრდა. ზრდის მოცემული ტემპი ეყრდნობა დოკუმენტში მითითებულ საერთაშორისო კვლევებში მოყვანილ მონაცემებს. „<i>The annual growth rate of the data traffic is calculated based on forecast of mobile data traffic for the Central and Eastern Europe prepared by Mason Analysis. The forecast of Mason Analysis was compared to other sources e.g. Ericsson Mobility Report from June 2019 and the values were on similar level.</i>“</p> <p>კონსულტანტების მოდელის მიხედვით, საქართველოს ოპერატორების ერთობლივი მობილური ინტერნეტის ტრაფიკი 2022 წელს უნდა ყოფილიყო 185.39</p>

ფასის გაანგარიშება განხორციელდა მხოლოდ ზოგადი ხასიათის მოსახლეობის დაფარვის ვალდებულების გათვალისწინებით. სიხშირული რესურსის ფასის გაანგარიშების დროს საერთოდ არ იყო გათვალისწინებული სიჩქარის, მით უმეტეს რეალურ პირობებში მომხმარებლების მიერ მისაღები მინიმალური სიჩქარის მოთხოვნები, ისევე როგორც გზების/ესტაკადების და სარკინიგზო მაგისტრალების დაფარვის ვალდებულება;

აქვე აღვნიშნავთ, რომ კომისიის ინიციატივა შეამციროს Ernst & Young-ის მიერ გაანგარიშებული ლიცენზიების ღირებულება გარკვეული პროცენტით დამატებითი ვალდებულებების დაწესების სანაცვლოდ, პრობლემას ვერ მოაგვარებს, ვინაიდან თუ კომისია მის მიერ სალიცენზიო პირობებით განსაზღვრული დაფარვისა და სიჩქარის მოთხოვნების გათვალისწინებით განხორციელებს სიხშირეების საფასურის გაანგარიშებას ბიზნეს-მოდელირების მეთოდოლოგიით, დაინახავს რომ ამგვარი ვალდებულებებით ბიზნეს მოდელი აბსოლუტურად არასიცოცხლისუნარიანი იქნება.

მიუხედავად ჩვენი არაერთი მომართვისა (2020 წლიდან დღემდე) კომისიამ ჯერ არ მოგვანოდა Ernst & Young-ის მიერ შემუშავებული სიხშირეების გაანგარიშების სრული მოდელი.

აქვე, კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, მოგვანოდოთ Ernst & Young-ის მიერ შემუშავებულ 5G სიხშირეების საფასურის გაანგარიშების სრული მოდელი (ნებისმიერ ფორმატში), რაც საშუალებას მოგვცემს დეტალურად დავინახოთ რა დაშვებებით განხორციელდა 5G სიხშირული რესურსის საფასურის გაანგარიშება.

მიგვაჩნია, რომ სიხშირეების საფასურის გაანგარიშების დოკუმენტში მოცემული ვალდებულებებისაგან განსხვავებული და დამატებითი დაფარვისა და სიჩქარის ვალდებულების დაწესების სურვილის შემთხვევაში, კომისიამ უნდა განხორციელოს 5G სიხშირული რესურსის საწყისი საფასურის ხელახალი გადათვლა ყველა ამგვარი ახალი

პეტაბაიტი. სინამდვილეში, კომისიის ხელთ არსებული მონაცემებით, რომლებიც ასევე გამოქვეყნებულია კომისიის 2022 წლის წლიურ ანგარიშში, 2021 და 2022 წლის საქართველოს ოპერატორების ერთობლივი მობილური ინტერნეტის ტრაფიკი იყო, შესაბამისად 311 და 431 პეტაბაიტი. წლიურ ანგარიშში მოყვანილი მონაცემების მიხედვით, მოცემული ზრდა უზრუნველყო როგორც მობილური აბონენტების რაოდენობის ზრდამ, ასევე თითო აბონენტის მიერ მოხმარებული ტრაფიკის მოცულობის ზრდამ. საკონსულტაციო დოკუმენტის მოდელით, 2019 წლიდან 20%-ანი ზრდის გათვალისწინებით, 2034 წლისთვის პროგნოზირებულია 1,359.43 პეტაბაიტის მოხმარება, რაც დღევანდელი გადმოსახედიდან პესიმისტურად გამოიყურება.

აღნიშნული ტრაფიკის ზრდა შეუძლებელია მოხდეს ინტერნეტის მოხმარების ზრდით, რადგან 2022 წლის მონაცემებით, ინტერნეტის მოხმარების პენეტრაცია მობილურ აბონენტებში უკვე 70%-ს შეადგენდა.

ამგვარად, მომხმარებლის ტრაფიკის ზრდა შესაძლებელია, ან გადმოწერის სიჩქარის ზრდით, ან მობილური ინტერნეტის მოხმარების ქცევის ცვლილების ხარჯზე.

რადგანაც მობილური ინტერნეტის მოხმარების ქცევის ცვლილება, როგორც მითითებულია ზემოთ მოყვანილ საერთაშორისო ანგარიშებში აპლიკაციებს განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით - არ არის მოსალოდნელი, ზრდა მოსალოდნელია მონაცემების გადმოწერის სიჩქარის ხარჯზე.

კომისიის მიერ რეგულარული მობილური მომსახურებების ხარისხის მონიტორინგის შედეგების გაცნობით ვიგებთ, რომ საკონსულტაციო დოკუმენტში მითითებული „ჰიპოტეტური ოპერატორის“ სიხშირული რესურსის მსგავსი რესურსის მქონე მობილური ოპერატორის მონაცემების გადმოწერის სიჩქარე რეგულარულად აჭარბებს 20 მბ/წმ. (ამავე დროს „სილქნეტის“ გადმოწერის სიჩქარე, რიგ შემთხვევებში, აჭარბებს 30 მბ/წმ - ს, თუმცა სილქნეტი ფლობს მნიშვნელოვნად მეტ სიხშირულ რესურსს 2,300 მჰც დიაპაზონში)

ამგვარად, გამომდინარე იქიდან რომ:

- კონსულტანტების მოდელის მიხედვით, მობილური ინტერნეტის წლიური ზრდა 2022-2034 წლებში მოსალოდნელია არანაკლებ 200% ით;
- შენარჩუნდება ოპერატორების წილები მოხმარებული მობილური ინტერნეტის მიხედვით;
- დასაშვებია მობილური ინტერნეტის მომხმარებლების ზრდა 70%-დან 100%-მდე;
- არ არის მოსალოდნელი მობილური ინტერნეტის მომხმარებლის მოხმარების ქცევის ცვლილება.

		<p>ვალდებულების (პირობის) გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიცენზიის პირობებში უნდა გაიწეროს მხოლოდ მოსახლეობის დაფარვის ის ზოგადი ვალდებულება (სიჩქარის გარეშე), რომლის გათვალისწინებითაც განხორციელდა სიხშირული რესურსის ფასის კალკულაცია;</p>	<p>მოსალოდნელია, რომ მობილური ინტერნეტის მოხმარების სიჩქარე 2022 – 2034 გაიზარდოს 2.1 ჯერ მოდელში მითითებული „ჰიპოთეტური ოპერატორის“ მსგავსი რესურსის მქონე ოპერატორისთვის და უნდა გადაჭარბოს 40 მბ/წმ.</p> <p>საკონსულტაციო დოკუმენტის გარეშეც, ის რომ ერთი აბონენტის მობილური ინტერნეტის მოხმარების ზრდა, ბოლო წლების განმავლობაში 25% აჭარბებს, მიუთითებს იმაზე, რომ თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, მონიტორინგის დროს დაფიქსირებული მობილური ინტერნეტის საშუალო სიჩქარე მალე გადააჭარბებს 30 მბ/წმ ზღვარს „ჰიპოთეტური ოპერატორის“ რესურსის მქონე ოპერატორისთვის.</p> <p>შესაბამისად, აღნიშნული სიჩქარე, ამჟამინდელი მონაცემებით, პროგნოზირებულთან შედარებით, არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს მძიმე დაფარვის ვალდებულებას.</p>
15		<p><b>საკითხი 4. რადიოსიხშირული რესურსის ლოტებად დანაწილების პრინციპი და ცალკე მდგომი სიხშირული ლოტების მოსაპოვებლად აუქციონში მონაწილეობის შეზღუდვა</b></p> <p>მიგვაჩნია, რომ კომისიის მიდგომა 700მჰც/800მჰც/2.6გჰც/3.4-3.7გჰც დიაპაზონებში (ჯამში 570 მჰც) ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსი აუქციონზე გამოიტანოს 4 ძირითადი (700მჰც/3.4-3.7გჰც) ლოტის სახით (რომელთა სავალდებულო სალიცენზიო პირობად განსაზღვრულია მძიმე დაფარვის/სიჩქარისა და MVNO დაშვების ვალდებულებები, რაც უკიდურესად არამომზიდველს ხდის 5G სიხშირულ რესურსს) და 19 ცალკე მდგომ ლოტზე შეზღუდოს ლიცენზიის მსურველების შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ გამართულ აუქციონებში, იმ შემთხვევაში თუ ვერ ან არ მოიპოვებენ კომბინირებულ ლოტებს (შენიშვნა არ ეხება Spectrum cap-ებს) ხელოვნურად შეაფერხებს და შეზღუდავს საქართველოში, როგორც მე-5 თაობის ქსელების დანერგვას, ასევე მე-4 თაობის მობილური ქსელების შემდგომ განვითარებას და ხელს შეუშლის ქვეყანაში მრავალმილიონიანი ინვესტიციების განხორციელებას;</p> <p>კომისიას არ აქვს საკონსულტაციოდ გამოქვეყნებული რაიმე დოკუმენტი, სადაც განმარტებული და გაანალიზებულია საკონსულტაციოდ</p>	<p>განვიმარტავთ, რომ დაფარვის ვალდებულებები აქვს მხოლოდ ოთხ კომბინირებულ ლოტს. დანარჩენს 20 ლოტს არანაირი დაფარვის ვალდებულება არ გააჩნია. გამომდინარე იქიდან, რომ კომისიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ამოწურვადი რესურსების მართვა და მათი ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, ინოვაციური ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის უზრუნველსაყოფად და კონკურენტუნარიანი გარემოს წახალისებისთვის, რადიოსიხშირული სპექტრის ოპტიმალური განაწილება და ეფექტიანი გადანაწილება ძალიან მნიშვნელოვანია. კომისიის ხედვით და სტრატეგიით ამ ეტაპზე, ამგვარი სააუქციონო პირობების დაწესებით მიგვაჩნია, რომ ხელს შევუწყობთ მე-5 თაობის მობილური ქსელების დანერგვას და ასევე მე-4 თაობის მობილური ქსელების განვითარებას.</p>

გამოტანილი აუქციონების დოკუმენტით განსაზღვრული სალიცენზიო პირობებისა და შეზღუდვების დადებითი და უარყოფითი მხარეები და სავარაუდო შედეგები. შესაბამისად, კომისიამ სალიცენზიო სავალდებულო პირობებად ისე განსაზღვრა მთავარი 4 კომბინირებული ლოტისთვის ყველაზე მკაცრი დაფარვის და სიჩქარის ვალდებულებები, (რაც ევროკავშირის მასშტაბითაც ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს), MVNO/MVNE/MVNA-ების სავალდებულო დაშვებისა და ოფერტის გამოქვეყნების ვალდებულება (რომლის იდენტური პრეცედენტი არც ერთ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში არ არის), და დააწესა აუქციონში მონაწილეობის შეზღუდვები (მათ შორის მოქმედ ოპერატორებს არ ეძლევათ შესაძლებლობა დამატებითი სიხშირული რესურსის მოპოვებით განავითარონ არსებული 4G ქსელები), რომ არ დაასაბუთა ამგვარი ვალდებულებებისა და შეზღუდვების დაწესების საჭიროება/აუცილებლობა და არ განმარტა რა პოტენციურ შედეგს ვარაუდობს კომისია ამგვარი პირობებით ლიცენზიების აუქციონზე გამოტანის შედეგად.

გთხოვთ განმარტოთ, გაქვთ თუ არა შემუშავებული დოკუმენტი სადაც შეფასებული და გაანალიზებულია აუქციონების დოკუმენტში მოცემული ვალდებულებებისა და შეზღუდვების დაწესების დადებითი და უარყოფითი/ნეგატიური მხარეები; განმარტებულია თუ რა არგუმენტების საფუძველზე განხორციელდა ამგვარი ვალდებულებების/შეზღუდვების დაწესება, დასაბუთებულია სალიცენზიო პირობებად ამგვარი მკაცრი ვალდებულებების და შეზღუდვების დაწესების აუცილებლობა/საჭიროება, განმარტებულია რა პოტენციურ შედეგს ვარაუდობს კომისია ამგვარი პირობებით ლიცენზიების აუქციონზე გამოტანის შედეგად;

თუ ამგვარი დოკუმენტი კომისიას შემუშავებული აქვს, გთხოვთ გამოაქვეყნოთ, რომ ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ქონდეს გაეცნოს მას საჯარო საკონსულტაციო პროცესით. თუ კომისიას ამგვარი დოკუმენტი

	<p>შემუშავებული არ აქვს, გთხოვთ განვიმარტოთ როგორ და რის საფუძველზე განახორციელა კომისიამ აუქციონის პირობების/შეზღუდვების და სალიცენზიო ვალდებულებების განსაზღვრა</p>	
16	<p><b>საკითხი 5. საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების საკითხი</b>  როგორც კომისიისათვის ცნობილია 2020 წლიდან დღემდე არა ერთხელ მოგმართეთ წერილობით საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების საკითხზე, რომელის დანერგვის გარეშე შეუძლებელია ქვეყანამ და მარეგულირებელმა ხელი შეუწყოს მეხუთე თაობის ქსელების დანერგვა/ განვითარებას და ოპერატორებმა შეძლონ მეხუთე თაობის ქსელების აგება.  თუ „სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ინფრასტრუქტურის გაზიარების თაობაზე“ საქართველოს კანონის მიღების საკითხზე გარკვეული წინსვლაა (მე-2 მოსმენით იქნა მიღებული, თუმცა კანონის სრულყოფილად ამოქმედება მარეგულირებლის მოთხოვნით გადავადებულია 1 წლით), მეორე საკითხზე („ევროპული ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ დირექტივის“ (EU) 2018/1972-ს 57 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საქართველოში იმპლემენტაციის საკითხი) კომისია ჩვენი არაერთი წერილის მიუხედავად პასუხს არ გვცემს.  კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ ზემოხსენებული „სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ინფრასტრუქტურის გაზიარების თაობაზე“ კანონპროექტი არ მოიცავს „ევროპული ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ დირექტივით“ (EU) 2018/1972-ს 57-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები) განსაზღვრულ ახალი ნორმებს, რომელიც ევროკავშირის მასშტაბით 2018 წელს შემუშავდა ზუსტად 5G ქსელების განვითარების ხელშეწყობისთვის, (როგორც ზემოხსენებული 2014/61/EU დირექტივის დამატებითი/შემაჯსებელი ნორმები (იხ.</p>	<p>სახელმწიფოს მიერ, 2023 წლის 31 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“, რაც სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვებით ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიაზე მაღალსიჩქარიანი, ფართოზოლოვანი ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარებას.</p>

პრეამბულა, პუნქტი -140), შეგახსენებთ, რომ ახალი ევროდირექტივით ქვეყნები ვალდებული არიან სახელმწიფო/მუნიციპალურ საკუთრებაში/სარგებლობაში/კონტროლის ქვეშ არსებულ ყველა სახის ქონებაზე (შენობა-ნაგებობაზე და ინფრასტრუქტურაზე) ოპერატორების დაშვება უზრუნველყონ მიკრო-სადგურების განსათავსებლად, ხოლო დაშვების საფასური არ უნდა აღემატებოდეს ამგვარის უზრუნველყოფისათვის საჭირო ადმინისტრაციულ ხარჯებს.

შესაბამისად მივიჩნევთ, რომ აუცილებელია არა მარტო „სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ინფრასტრუქტურის გაზიარების თაობაზე“ საქართველოს კანონის მიღება, არამედ ასევე (EU) 2018/1972 დირექტივის 57-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საქართველოში იმპლემენტაცია, რაც ჩვენი შეფასებით, სწორედ მარეგულირებლის მოთხოვნით უნდა განხორციელდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ იქნება უზრუნველყოფილი 5G ქსელების დანერგვის ხელშეწყობა და ოპერატორებისათვის ადეკვატური საინვესტიციო გარემოს შექმნა;

კიდევ ერთხელ მოგმართავთ კითხვით, განმარტოთ რა პროცესშია (EU) 2018/1972 დირექტივის 57-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საქართველოში იმპლემენტაციის საკითხი და/ან რა ნაბიჯები გადადგა მარეგულირებელმა ზემოაღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად

17

**საკითხი 6. 5G ქსელური მოწყობილობების და პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებლებთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკა**

ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კითხვა ეხებოდა და დღესაც უკავშირდება სახელმწიფო პოლიტიკას 5G ქსელური მოწყობილობების და პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებლებთან დაკავშირებით (ე.წ. clean network);

კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ ჩვენ

დღეს მოქმედი მემორანდუმი არ აწესებს რაიმე სპეციფიკურ შეზღუდვას კონკრეტული მწარმოებლების ან აპარატურის მიმართ და ასეთი შეზღუდვა არც კომისიას აქვს დაწესებული;

		<p>პოზიციას, რომ 5G აუქციონების გამოცხადებამდე, მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს სახელმწიფო პოლიტიკა (სამომავლო ხედვა) ქსელური მოწყობილობების მწარმოებლების კუთხით, მათ შორი გაფორმებული მემორანდუმის ჭრილში (Memorandum of understanding adopted by the Governments of the United States of America and Georgia on January 14, 2021) ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის პასუხი, რომ „მემორანდუმი არ აწესებს რაიმე სპეციფიკურ მოთხოვნებს და ასეთი შეზღუდვა არც კომისიას აქვს დაწესებული“ არ განმარტავს და არ ასახავს ქვეყნის სამომავლო ხედვას.</p> <p><u>კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად განმარტოთ სახელმწიფო პოლიტიკა (სამომავლო ხედვა) მოცემულ საკითხზე, მათ შორის შესაბამისი მემორანდუმის ჭრილში (Memorandum of understanding adopted by the Governments of the United States of America and Georgia on January 14, 2021) რომლის განმარტების გარეშეც ოპერატორები ვერ შეძლებენ სწორად განსაზღვრონ 5G ქსელების დანერგვისთვის საჭირო ინვესტიციები.</u></p>	
18	<p><b>შპს "ინექსფონი" №შ-23-6/1807, 25.05.2023</b></p>	<p>პირველ რიგში, მივესალმებით, კომისიის გადაწყვეტილებას სააუქციონო სიხშირეებზე MVNO ვალდებულების დაწესების შესახებ. თუმცა, ამავდროულად ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ არ არის MVNO დაშვების ვალდებულება დაწესებული 800 მჰც ზოლზე. თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ 2019 წლიდან მოყოლებული, როდესაც კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება MVNO-ების დაშვების შესახებ MVNO მსურველი ოპერატორები, მათ შორის ჩვენ ვცდილობთ მოვიპოვოთ MNO-ების ქსელზე დაშვება, რაც ამ დრომდე ვერ მოხერხდა. აქვე გასათვალისწინებელია, ისიც, რომ MVNO რეგულაციის შემოღება ამ დრომდე გადავადებულია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ კომისიამ დაგეგმილ აუქციონებში მაინც გაითვალისწინოს MVNO დაშვების ვალდებულება ყველა სიხშირეზე. შესაბამისად გთხოვთ, დააწესოთ MVNO</p>	<p>კომისია აღნიშნავს, რომ აუქციონების გამოცხადების მთავარ მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში დაინერგოს და განვითარდეს ახალი თაობის (5G) ქსელი და მომსახურებები. შესაბამისად, 5G ქსელის დანერგვისთვის განკუთვნილი ლიცენზიების უმეტესობა მოიცავს MVNO ოპერატორების ქსელზე დაშვების ვალდებულებას, ხოლო 800 მჰც სიხშირულ ზოლზე, რომელიც უპირატესად არ არის განკუთვნილი 5G ქსელის დანერგვისთვის, აღნიშნული ვალდებულების დაკისრება კომისიას არ მიაჩნია მიზანშეწონილად. აქვე კომისია აღნიშნავს, რომ აცნობიერებს იმ მდგომარეობას, რომელიც მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების დაშვების კუთხით არსებობს საქართველოში, თუმცა მიაჩნია, რომ ამ პრობლემის უპირველესი გადაწყვეტა მიზანშეწონილია მოხდეს კომისიის ხელთ არსებული სხვა მექანიზმების გამოყენებით. სწორედ ამ მიზნით ამჟამად კომისიაში მიმდინარეობს სატელეკომუნიკაციო ბაზრის კომპლექსური კვლევა, რომლის ფარგლებშიც კომისია ასევე იმსჯელებს ამ საკითხზეც.</p>



	დაშვების ვალდებულება ყველა	
	გამოტანილ სიხშირეზე.	

კახი ბექაური




თავმჯდომარე  
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ეკატერინე იმედაძე




წევრი  
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ნათია კუკულაძე



წევრი  
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ივანე მახარაძე



წევრი  
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია